ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №177

1 ივლისი 2013 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევისათვის შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ დაჯარიმების შესახებ

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე 26-ე მუხლების და 45-ე მუხლის I ნაწილის „დ“ პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სანებართვო პირობების დარღვევისათვის შ.პ.ს. „სოკარ-ჯორჯია პეტროლიუმი“ დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. დამრღვევმა აღნიშნული თანხა ჩარიცხოს სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ა/ა 200122900 მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22, შემოსავლის კოდი 300653263.

3. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, დამრღვევს დაეკისროს საურავი დაჯარიმების შესახებ ბრძანებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

4. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს ბრძანების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გააცნოს ბრძანება დამრღვევს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან 15 დღის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართი: ჭავჭავაძის ქ. №4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი